

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №18

2019 წლის 28 იანვარი

ქ. თბილისი

ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ¹.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის №4025-რს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, დამტკიცდეს თანდართული „ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმები“.

მუხლი 2

მომხმარებელი, რომელიც 2018 წლის მონაცემების საფუძველზე აკმაყოფილებს „ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმებს“, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ელექტროენერჯის პირდაპირ მომხმარებლად უნდა დარეგისტრირდეს არაუგვიანეს 2019 წლის 1 მაისისა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის დადგენილება №144 – ვებგვერდი, 27.03.2019წ.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე

დანართი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის დადგენილება №144 – ვებგვერდი, 27.03.2019წ.

ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმები

მუხლი 1

1. ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმები წარმოადგენს იმ მახასიათებლებს, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, მომხმარებელი წარმოადგენს ელექტროენერჯის პირდაპირ მომხმარებელს „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ¹.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და უნდა დარეგისტრირდეს ელექტროენერჯის პირდაპირ მომხმარებლად „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი წესით.

2. „ელექტროენერჯის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმებში“ გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები.

მუხლი 2

1. „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ¹.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტროენერჯის პირდაპირ მომხმარებელს წარმოადგენს მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სავალდებულო კრიტერიუმებს:

ა) მომხმარებელი, რომელიც საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერჯას (სიმძლავრეს) იღებს



წარმოების, გადაცემის ან განაწილების ლიცენზიატ(ებ)ის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის ან სხვა მომხმარებლის კუთვნილი ქსელ(ებ)იდან, მისი ქსელთან მიერთების წერტილებიდან ერთი მაინც მდებარეობს 35-110 კილოვოლტის ძაბვის ქსელზე, აღნიშნული ძაბვის ქსელ(ებ)ზე მდებარე მიწოდების წერტილ(ებ)იდან, ჯამურად, თვეში საშუალოდ მოიხმარს არანაკლებ 5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ამასთანავე, მისი მოხმარების არანაკლებ 90% მიღებული აქვს 35-110 კილოვოლტის ძაბვის ქსელზე მდებარე მიწოდების წერტილებიდან;

ბ) მომხმარებელი, რომელიც საკუთარი საჭიროებისათვის ელექტროენერგიას (სიმძლავრეს) იღებს წარმოების ლიცენზიატ(ებ)ის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის კუთვნილი 6-10 კილოვოლტის ძაბვის ქსელ(ებ)იდან და აღნიშნული მიწოდების წერტილ(ებ)იდან, ჯამურად, თვეში საშუალოდ მოიხმარს არანაკლებ 5 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თვის საშუალო მოცულობა გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის ჯამური ოდენობის გაყოფით იმ თვეების რაოდენობაზე, როდესაც განხორციელდა მოხმარება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა ხდება კალენდარული წლის:

ა) შედეგების საფუძველზე – არსებული მომხმარებლის შემთხვევაში;

ბ) საპროგნოზო მოხმარების საფუძველზე – ახალი მომხმარებლის შემთხვევაში.

მუხლი 3. მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისთვის სავალდებულო კრიტერიუმებს, „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილი წესის შესაბამისად, უნდა დარეგისტრირდეს საბითუმო ვაჭრობაში მონაწილედ, როგორც ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებელი, ამ დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – არაუგვიანეს მომდევნო წლის 1 მაისისა;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – ელექტროენერგიის მოხმარების დაწყებამდე.

